

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი
სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ ანგარიში
ინფორმაციის თავისუფლების შესახებ
2020 წელი**

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ 2019 წლის 10 დეკემბრიდან 2020 წლის 10 დეკემბრამდე სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში“ (შემდგომში - სააგენტო) საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსული განცხადებებისა და მათზე რეაგირების, ასევე, დაცული პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ 2020 წლის ანგარიშს (მოიცავს 2019 წლის 10 დეკემბრიდან 2020 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდს):

ა) სააგენტოში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოვიდა 208 განცხადება, რომელთაგან ელექტრონული ფორმით შემოსული განცხადებების რაოდენობამ შეადგინა 8 ერთეული.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილების შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის შესახებ მოთხოვნების სააგენტოში ელექტრონული ფორმით წარმოდგენა უზრუნველყოფილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „ციფრული მმართველობის სააგენტოს“ - მიერ ადმინისტრირებული ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (MY.GOV.GE) მეშვეობით.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნის თაობაზე საანგარიშო პერიოდში სააგენტოში განცხადება არ შემოსულა.

ბ) საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სააგენტოში შემოსული განცხადებებიდან (208):

- 4 შემთხვევაში მათში მითითებული ყველა საკითხი მიეკუთვნებოდა სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების სფეროს და, შესაბამისად, განცხადებები გადაეგზავნა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს;
- იმ განცხადებებიდან, რომლებიც განეკუთვნებოდა სააგენტოს კომპეტენციას (204 განცხადება):
 - ✓ 110 დაკმაყოფილდა სრულად;
 - ✓ 1 დაკმაყოფილდა ნაწილობრივ (ვინაიდან მოთხოვნის ნაწილი იყო ბუნდოვანი, განმცხადებელს ეთხოვა მოთხოვნის დაზუსტება);
 - ✓ 4 დაკმაყოფილდა ნაწილობრივ (ვინაიდან მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილი წარმოადგენდა პერსონალურ მონაცემებს);
 - ✓ 1 დაკმაყოფილდა ნაწილობრივ (ვინაიდან მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილი არ მუშავდება სააგენტოში);

✓ 88 განცხადებაზე მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება/დამუშავება.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სამინისტროში შემოსული თითქმის ყველა განცხადება შეიცავდა საჯარო ინფორმაციის ერთზე მეტ, ხშირ შემთხვევაში კი – მრავალ მოთხოვნას.

2019 წლის 10 დეკემბრიდან 2020 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღები პირები იყვნენ: სააგენტოს მოქალაქეობისა და მიგრაციის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირი - ნატალია ჩუბინიძე და სააგენტოს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი - თამარ კეთილაძე.

გ) სააგენტო მასზე კანონით დაკისრებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს „საქართველოს კონსტიტუციის“, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“, „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 13 ივლისის №117 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დებულების“, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების თანახმად. შესაბამისად, პერსონალური მონაცემების დამუშავება გათვალისწინებულია ზემოხსენებული ნორმებით, რაც შეესაბამება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრულ მონაცემთა დამუშავების საფუძვლებს. სააგენტოში დაცულია პერსონალური მონაცემები როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. სააგენტო საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში იყენებს დოკუმენტბრუნვის (დეს) და სხვა ელექტრონულ სისტემებს. ელექტრონულ სისტემებში ინახება ელექტრონული ფორმით არსებული პერსონალური მონაცემები. აღნიშნულ მონაცემებზე წვდომის უფლება მინიჭებული აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს, რომლებსაც, მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავებისა და შეგროვების უფლებამოსილება. ამასთან, განსხვავებულია წვდომის უფლების საზღვრები და ესადაგება თანამშრომელთა უფლებამოსილებებს. სააგენტოში არსებობს მონაცემთა ელექტრონულ ბაზებზე დაშვების ფორმალიზებული პროცედურები. ელექტრონულ სისტემებში არსებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია როგორც ფიზიკური, ისე შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც თავის მხრივ, გამორიცხავს არაუფლებამოსილი პირების მიერ პერსონალურ მონაცემებზე წვდომას.

საანგარიშო პერიოდში სააგენტოს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის და ტერიტორიული ორგანოების მიერ პერსონალური მონაცემების გაცემა ხორციელდებოდა მხოლოდ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით.

დ) სააგენტოს თანამშრომლების მხრიდან საანგარიშო პერიოდში შემოსულ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით არ გამოვლენილა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-3 თავის რეგულაციების დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელის დადების არცერთი ფაქტი.

ე) საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე შემოსული განაცხადების განხილვისას სააგენტო ხელმძღვანელობდა „საქართველოს კონსტიტუციის“, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულ კოდექსის“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული რეგულაციებით.

ვ) საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემოსულ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციული წესით გასაჩივრების 1 ფაქტს, რომელზეც გაიცა ინფორმაცია.

ზ) სააგენტოს მიერ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში არ წარმოშობილა ხარჯები. ამასთან, ადგილი არ ჰქონია სააგენტოსთვის მხარის სასარგებლოდ გადასახდელი თანხის დაკისრებას.